პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 173 (4683)

1972 წ. 2 სექტემბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

# დღე მეექვსე

მიუნხენი, 31 აგვისტო. თბილისელმა ლევან თედიაშვილმა და მახაჩყალელმა ზაგალავ აბდულბეკოვმა მეექვსე ოლიმპიური დღის დილით თავისუფალ ჭიდაობაში ჩემპიონობა მოიპოვეს.

... თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტი, მომავალი იურისტი, 23 წლის ლევან თედიაშვილი უკვე იყო მსოფლიო ჩემპიონი, წლეულს კი ერთი ამოცანა ჰქონდა: მთავარი სპორტული გამარჯვების მოპოვება. ეს ჯილდო კარგი სამკაული იქნება ლევანის ქორწილისა, რომელსაც იგი ალბათ ოლიმპიადიდან დაბრუნებისთანავე გადაიხდის.

ზუსტად ერთი წლის წინ, 31 აგვისტოს, სოფიაში აბდულბეკოვი მსოფლიო ჩემპიონი გახდა. მეორე დღეს მის ცოლს, რომელიც ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობს მახაჩყალის ერთ-ერთ სკოლაში, მოსწავლეებმა მიულოცეს ქმრის გამარჯვება. ალბათ ახლაც ასე იქნება.

აბდულბეკოვი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტია.

— დედამიწა ლამაზი უნდა იყოს. ეს მხოლოდ ადამიანს შეუძლია. მე მინდა მთელი სამყარო გავალამაზო, — ამბობს იგი.

100 მეტრზე ბატერფლაით ნახევარფინალურ გაცურვაში უნგრელმა ანდრეა დიარმატიმ მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 1.03,80.

400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში ნ. პეტროვამ სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა (5.13,42), თავის გაცურვაში III ადგილი დაიკავა და ოლიმპიური ჯილდოსთვის ბრძოლას აგრძელებს.

ახალი წარმატებები მოიპოვეს საბჭოთა მოკრივეებმა. ა. კამნევმა ნოკაუტში ჩააგდო ბერმუდის კუნძულების წარმომადგენელი რ. ჯონსონი, ხოლო ბ. ზორიკტუევმა დამაჯერებლად სძლია ბირმელ დ. ვანლალს. მსაჯმა ბრძოლა მესამე რაუნდში შეწყვიტა საბჭოთა სპორტსმენის აშკარა უპირატესობის გამო.

დღეს დაიწყო ძიუდოისტთა ტურნირიც. საბჭოთა მოჭიდავეებიდან სარბიელზე პირველი გამოვიდა მძიმეწონოსანი გ. ონაშვილი. უკვე 22 წამის შემდეგ მან წმინდად დაამარცხა სენეგალელი მ. მებოჯი. სადამომდე ონაშვილმა ოთხ მეტოქეს აჯობა. მათ შორის იყო იაპონელი მ. ნასიმურაც, რომელსაც თბილისელმა ქულებით მოუგო.

აკადემიური ნიჩბოსნობის ფინალში საბჭოური ესკადრა 6 ნავით გაუვა. დილით ობერშლაისჰაიმის ტრასაზე საბჭოთა ნიჩბოსნებმა გაიმარჯვეს ორადგილიანი მესაჭიანი ნავით, ერთადგილიანით, ოთხადგილიანი მესაჭიანით. II ადგილებზე გავიდნენ ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი და რვაადგილიანი, III — უმესაჭო ოთხადგილიანი. შემდგომ ბრძოლას გამოეთიშა მხოლოდ უმესაჭო ორადგილიანი.

კენჭისყრამ საბჭოთა ესპადრონისტები სხვადასხვა ნახევარფინალში მოახვედრა, მაგრამ ფინიშთან ისინი ერთნაირად მივიდნენ — პირველნი: ვ. ნაზლიმოვმა ხუთი გამარჯვება მოიპოვა, ვ. სიდიაკმა — სამი. ფინალში მათი მეტოქეები იქნებიან უნგრელი პ. მაროტი და ტ. კოვაჩი, იტალიელი ნ. მაფეი და ფრანგი რ. ბონისენი. მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი და 1968 წლის ოლიმპიადაში გამარჯვებული ე. პაველოვსკი (პოლონეთი) ამჯერად ფინალში ვერ გავიდა.

„გაქცეულ ტახზე" 40 გასროლის შემდეგ ლიდერობს ი. ჟელეზნიაკი — 379 ქულა. მისი თანაგუნდელი ვ. პოსტოიანოვი ჯერჯერობით მეოთხეა — 371. მრგვალ სტენდზე სროლაში 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი, მოსკოველი ე. პეტროვი პირველი დღის შემდეგ IV ადგილზეა — 73. იგი სამ ლიდერთან სულ ერთ ქულას აგებს.

ოლიმპიურ ტურნირში მესამე გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა ფრენბურთელმა ვაჟებმა, რომელთაც ამჯერად ბულგარეთის ძლიერ გუნდს აჯობეს — 3:1 (9:15, 15:10, 15:11, 15:10). საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა მოუგეს უნგრეთის გუნდს — 3:1.

ოლიმპიურ თამაშებში 10 კილომეტრზე მორბენლები პირველად ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს წინასწარ გარბენებში ფინალის საგზურისთვის. პირველ გარბენში გამარჯვებულმა ბელგიელმა ე. პუტემანსმა ოლიმპიური რეკორდი დაამყარა (27.53,4). სამი საბჭოთა სტაიერიდან ფინალურ გარბენში ბრძოლის უფლება მოიპოვა მხოლოდ პ. ანდრეევმა, რომელიც ფინიშთან მესამე იყო (28.21,8). რ. შარაფეტდინოვი (28.24,6) და ა. ბადრანკოვი (28.35,8) შეჯიბრებას გამოეთიშნენ.

სასტარტო ნომერი 13 იღბლიანი გამოდგა დანიელი ველომრბოლელის ნ. ფრედბორგისთვის. მან ოქროს მედალი მოიგო ადგილიდან 1000 მეტრზე გიტში. მსოფლიო ჩემპიონი, ომსკელი ე. რაპი მხოლოდ VIII ადგილზეა.

შუადამით სენსაციით დამთავრდა წყალბურთელთა წინასწარი შეჯიბრება. ეს იყო ოლიმპიური ჩემპიონების — იუგოსლავიის სპორტსმენების დამარცხება აშშ-ს ნაკრებთან — 3:5. ამერიკელებმა, რომლებმაც ხუთივე თამაში დაუმარცხებლად ჩაატარეს და თავიანთ ჯგუფში I ადგილი დაიკავეს. ფინალის საგზური მოიპოვა იუგოსლავიის გუნდმაც, რომელიც II ადგილზე გავიდა. მედლებისთვის ბრძოლას აგრძელებენ, აგრეთვე, სსრ კავშირის, იტალიის, უნგრეთისა და გფრ-ის გუნდები.

ბრაზილიის ფეხბურთელები დამარცხდნენ ირანის გუნდთან — 0:1. სსრ კავშირისა და მექსიკის გუნდებთან ერთად გათამაშების მომდევნო ეტაპზე გავიდნენ უნგრეთის, დანიის, გფრ-ის, მაროკოს, გდრ-ისა და პოლონეთის ნაკრები კოლექტივები.

ვ. გუხოვცევი,
ი. ხრომოვი.
(საქდესის სპეც. კორ.).



ს უ რ ა თ ზ ე: ოლიმპიურ ჩემპიონებს ლ. თედიაშვილსა (მარცხნივ) და ზ. აბდულბეკოვს მოსვენება არა აქვთ ავტოგრაფების მოყვარულთაგან, მაგრამ ისინი სიამოვნებით ასრულებენ ამ პროცედურას.
(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

# ოცდამეერთე პარტია

### სპასკი — ფიშერი
სიცილიური დაცვა

1. e4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 a6 5. მc3 მc6 6. კe3 მf6 7. კd3 d5 8. ed ed 9. 0—0 კd6 10. მ:c6 bc 11. კd4 0—0 12. ლf3 კe6 13. ეfe1 c5 14. კ:f6 ლ:f6 15. ლ:f6 gf 16. ეad1 ეfd8 17. კe2 ეab8 18. b3 c4 19. მ:d5 კ:d5 20. ე:d5 კ:h2+ 21. მფ:h2 ე:d5 22. კ:c4 ეd2 23. კ:a6 ე:c2 24. ეe2 ე:e2 25. კ:e2 ეd8 26. a4 ეd2 27. კc4 ეa2 28. მფg3 მფf8 29. მფf3 მფe7 30. g4 f5 31. gf f6 32. კg8 h6 33. მფg3 მფd6 34. მფf3 ეa1 35. მფg2 მფe5 36. კe6 მფf4 37. კd7 ეb1 38. კe6 ეb2 39. კc4 ეa2 40. კe6 h5. პარტია გადაიდო.

• • •

მეტოქეებმა კვლავ სიცილიური დაცვა გაითამაშეს, ოღონდ ამჯერად ფიშერმა თავისი საყვარელი ნაიდორფის ვარიანტის მაგიერ პაულსენის ვარიანტი გამოიყენა. მე-7 სვლაზე მან ახლებურად ითამაშა და ცენტრში გამხოლოებული პაიკის სანაცვლოდ ორი კუს უპირატესობა მიიღო.

სპასკიმ ენდშპილში თამაში ამჯობინა და ლაზიერები გაცვალა. ფიშერმა ცენტრში პაიკები ძლიერად განალაგა. როცა აქტიური მოქმედება დაიწყო, სპასკიმ მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო: ეტლი შესწირა კუსა და პაიკში. გაჩაღდა მძაფრი თამაში.

24-ე სვლაზე სპასკიმ ეტლები გაცვალა. იგი გეგმიანად აწყობდა მიუვალ პოზიციას. ფიშერმა თავის მეფეს ხელსაყრელი სათვალთვალო ადგილი მოუძებნა, ეტლს კი სამოქმედო ასპარეზი მისცა.

პარტიის გადადებამდე ბოლო 10 სვლის მანძილზე მეტოქენი აუმჯობესებდნენ თავიანთ პოზიციას. ფიშერი თეთრ პაიკებს ამაოდ ესხმოდა თავს. პარტია გადაიდო აი, ამ პოზიციაში:

ფიშერი



სპასკი

41-ე სვლა სპასკიმ ჩაიწერა.

## გუშინ

### გაიმარჯვა ფიშერმა

თამაშის განუახლებლად გუშინ სპასკიმ თავი დამარცხებულად სცნო გადადებულ პარტიაში. ეს გადაწყვეტილება იმით აიხსნება, რომ, როგორც ანალიზმა ცხადყო, თეთრების შემდეგში წინააღმდეგობა უპერსპექტივო იყო.

ამრიგად, რ. ფიშერმა მოიგო მატჩი ანგარიშით 12,5:8,5 და მსოფლიოს მე-11 ჩემპიონი გახდა.

### კანცლერ ვ. ბრანდტის შეხვედრა ს. პავლოვთან

მიუნხენი, 30 აგვისტო. (საქდესი). გუშინ საღამოს გაიმართა გფრ-ის ფედერალური კანცლერის ვ. ბრანდტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ს. პავლოვის შეხვედრა. როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, საუბრის დროს პავლოვმა კმაყოფილება გამოთქვა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საბჭოთა გუნდის დაბინავებისა და მიღებისთვის.

დღისით, 29 აგვისტოს, პავლოვი შეხვდა გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრს გენშერს.

# ბელადის ხსოვნის პატივსაცემად

მიუნხენი, 30 აგვისტო. XX ოლიმპიური თამაშების მონაწილე საბჭოთა სპორტსმენთა ჯგუფი დღეს კაიზერშტრასეზე მდებარე № 46 სახლს ეწვია. აქ პირველ სართულზე 1900 წლის სექტემბრიდან 1901 წლის აპრილამდე ცხოვრობდნენ ვ. ლენინი და ნ. კრუპსკაია.

საბჭოთა ოლიმპიელებს შეხვდნენ გერმანიის კომუნისტური პარტიის ბავარიის ორგანიზაციის ხელმძღვანელები. გაიმართა გულითადი საუბარი.

— დასავლეთგერმანელი კომუნისტები სათუთად უფრთხილდებიან ყველაფერს, რაც მიუნხენში ლენინის ხშირ სტუმრობასთანაა დაკავშირებული, — თქვა გერმანიის კომუნისტური პარტიის ბავარიის ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჰ. შნაიდერმა. — გვინდა ქალაქის ხელისუფლებას მოვთხოვოთ, რომ მიუნხენში ლენინის მემორიალური ცენტრი მოეწყოს.

საბჭოთა დელეგაციამ ნახა ამ სახლთან გერმანიის კომუნისტური პარტიის აქტივისტების მიერ მოწყობილი სტენდები. აქ არის ხაინტერესო რეპროდუქციები, გამოფენილია ბელადის ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები. ერთ-ერთ სტენდზე ლენინის დიდი პორტრეტია გამოკრული და ნაამბობია ამ სახლის ისტორია. აქვეა ფოტოასლი გაზეთ „ისკრის" პირველი ნომრისა, რომლის გამოშვებაზეც ლენინი სწორედ ამ სახლში მუშაობდა.

იქვე მოწყობილია მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის გამოფენა-გაყიდვა. მაგიდებზე აწყვია გერმანულ ენაზე თარგმნილი ლენინის ნაშრომები „სახელმწიფო და რევოლუცია", „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან", ლენინის ბიოგრაფია, მისი კრებულები.

აქვე ტარდება ხელმოწერა ვიეტნამის ხალხისადმი სოლიდარობის მიმართვაზე და იღებენ ფულს მისი მხარდამჭერის ფონდისთვის.

ი. მასლოვი.
(საქდესის კორ.).

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: საბჭოთა სპორტსმენები და გერმანელი კომუნისტები სახლთან, სადაც 1900-1901 წლებში ცხოვრობდა ვ. ლენინი.
(მიუნხენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები




## მსოფლიო ჩემპიონატი შედეგები...

## პრიზიორები

31 აგვისტო

თავისუფალი ჭიდაობა.

უმძიმესი წონა. 1. რომან დმიტრიევი (სსრ კავშირი), 2. ოგნიან ნიკოლოვი (ბულგარეთი), 3. იბრაგიმ ჯავადი (ირანი).

მჩატე. 1. კიემი კატო (იაპონია), 2. არსენ ალახვერდიევი (სსრ კავშირი), 3. ხონ კიმ ვონგი (კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა).

ქვემსუბუქი. 1. ხიდეკი იანასიდა (იაპონია), 2. რიჩარდ სანდერსი (აშშ), 3. ლასლო კლინგა (უნგრეთი).

მსუბუქი. 1. ზაგალავ აბდულბეკოვი (სსრ კავშირი), 2. ვეხბი აქდაგი (თურქეთი), 3. ივან კრისტევი (ბულგარეთი).

პირველი ქვესაშუალო. 1. დენ გეიბლი (აშშ), 2. კიკუო ვადა (იაპონია), 3. რუსლან აშურალიევი (სსრ კავშირი).

მეორე ქვესაშუალო. 1. უეინ უელისი (აშშ), 2. იან კარლსონი (შვეცია), 3. ადოლფ ზეგერი (გფრ).

პირველი საშუალო. 1. ლევან თედიაშვილი (სსრ კავშირი), 2. რონ პეტერსონი (აშშ), 3. ვასილ იორგა (რუმინეთი).

მეორე საშუალო. 1. ბენ პეტერსონი (აშშ), 2. გენადი სტრახოვი (სსრ კავშირი), 3. კაროლი ბაიკო (უნგრეთი).

ქვემძიმე. 1. ივანე იარიგინი (სსრ კავშირი), 2. კხორ ბაიანმუნკხი (მონღოლეთი), 3. იოჟეფ ჩატარი (უნგრეთი).

მძიმე. 1. ალექსანდრე მედვედი (სსრ კავშირი), 2. ოსმან დურალიევი (ბულგარეთი), 3. კრის ტეილორი (აშშ).


რ. დმიტრიევი


ზ. აბდულბეკოვი


ი. იარიგინი


ა. მედვედი

## მეხუთე, ყველაზე ძნელი დღე...

XX ოლიმპიური თამაშების ოქროს მედლების ბედი თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატთა გუნდურ და პირად შეჯიბრებებში მძლეოსნური კროსის ტრასაზე გადაწყდა. ეს იყო ბრძოლის ყველაზე რთული დღე. როცა შეჯიბრება დამთავრდა, მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე ორი სახელმწიფოს ჰიმნი გაისმა გამარჯვებულთა პატივსაცემად — სსრ კავშირისა და უნგრეთისა. გუნდური ოქროს მედალი მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა, ხოლო „პერსონალური" — სახელგანთქმულმა უნგრელმა ათლეტმა ა. ბალცომ.

4-კილომეტრიანი კროსის ტრასა ურთულესი იყო. ჯერ ბალცო დაადგა გზას, ერთი წუთის შემდეგ კი მას კიეველი ბ. ონიშჩენკო მიჰყვა. კიეველს 28 წამზე მეტი არ უნდა წაეგო მეტოქესთან და ოლიმპიური ჩემპიონი გახდებოდა.

უნგრელი მწვრთნელები მშვიდად უსმენდნენ პორტატულ რადიომიმღებებს, ესე იგი, ბალცოს საქმე კარგად იყო. აი, იგი სტადიონზე გამოჩნდა, აი, ფინიშთან მიირბინა. ტაბლოზე აინთო ციფრები — 12.42,6. ბალცომ თავის თავს გადააჭარბა — 5412 ქულა მიიღო და მეტოქეებისთვის მიუწვდომელი გახდა.

სტადიონზე დაქანცული ონიშჩენკო გამოჩნდა. აშკარად ჩანდა, როგორ უჭირდა ბოლო მეტრებზე. რბენა რომ დაამთავრა, ქანცგაწყვეტილი დავარდა ბალახზე. ეს სურათი მეორდებოდა ყოველი ფინიშის შემდეგ: სპორტსმენები მთელს ძალას აქსოვდნენ ბრძოლაში. ონიშჩენკოს შედეგია 13.35,2. 5335 ქულამ 34 წლის სპორტსმენს ოლიმპიადის ვერცხლის მედალი მოუტანა. ონიშჩენკოს ამხანაგები გვიამბობდნენ, როგორ გაუჭირდა მას ეს შეჯიბრება, როგორ ღელავდა თანაგუნდელთა გამო. ბორისი ბოლომდე იბრძოდა, მაგრამ ადამიანის შესაძლებლობებსაც ხომ აქვს საზღვარი.



ლვოველმა პ. ლედნიოვმა კროსში 13.30,7 აჩვენა, საერთო ჯამში 5328 ქულა მოაგროვა და, ისევე როგორც ამ ოთხი წლის წინ მეხიკოში, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა.

26 წლის ვ. შმელიოვის (მოსკოვის ოლქი) შედეგია 13.01,9 (5311 ქულა — V ადგილი). სპორტსმენისთვის, რომელიც არც ისე დიდი ხანია თანამედროვე ხუთჭიდში გამოდის, ეს კარგი ოლიმპიური დებიუტია.

საბჭოთა სპორტსმენთა გამარჯვება საკმაოდ სოლიდურია: 15968 ქულა. უნგრეთის ნაკრების შედეგია 15348. III ადგილზეა ფინეთის ახალგაზრდა, მაგრამ სწრაფად მზარდი გუნდი — 14812.

დღეს ამ სტადიონზე დაიწყო და დამთავრდა კროსმენთა ბრძოლა. აქვე გადაეცათ სპორტსმენებს ჯილდოები.

(საკდესის სპეც. კორ.).

მიუნჰენი, 31 აგვისტო.

• • •

სურათზე: ბ. ონიშჩენკო მძლეოსნურ კროსში ასპარეზობის დროს.

(მიუნჰენიდან ფოტოდეპეშით მიიღო საქინფორმმა).

## დღეს

**კალათბურთი** (წინასწარი მატჩები).

**კრივი** (წინასწარი შეჯიბრება. მეორე წრე).

**ძიუდო** (საშუალო წონა. ფინალი)*.

**ველოსპორტი** (გამოდევნებით გუნდური რბოლა — საკვალიფიკაციო სერიები. სპრინტი — ფინალი)*.

**ფრენბურთი** (წინასწარი მატჩები. ნახევარფინალური მატჩები V-VIII ადგილებისთვის — ქალები).

**აკადემიური ნიჩბოსნობა** (ფინალები)*.

**მძლეოსნობა** (წინასწარი შეჯიბრება. ხუთჭიდი. პირველი დღე. ქალები. ფინალები: ჭოკით ხტომა, ბადროს ტყორცნა, 400 მ თარჯრბენი, 800 მ რბენა — ვაჟები; 100 მ რბენა — ქალები)*.

**ცურვა** (წინასწარი გაცურვები. ფინალები: 100 მ გულაღმა, 100 მ ბრასი — ქალები; 200 მ გულაღმა, 200 მ ბრასი — ვაჟები)*.

**წყალში ხტომა** (ფინალი. კოშკი — ქალები)*.

**წყალბურთი** (ფინალური მატჩები).

**ტყვიის სროლა** (ნებისმიერი შაშხანა. სტანდარტი 3 × 40)*.

**სასტენდო სროლა** (მრგვალი სტენდი. მესამე დღე)*.

**ძალოსნობა** (საშუალო წონა)*.

**ფარიკაობა** (გუნდური შეჯიბრება — ვაჟები. რაპირა — ფინალი; პირადი პირველობა — ქალები. რაპირა. წინასწარი შეჯიბრება)*.

**ბალახის ჰოკეი** (წინასწარი მატჩები).

გათამაშდება 28 ოქროს მედალი (იხ. ვარსკვლავით აღნიშნული სახეობები).

## ოლიმპიური მოზაიკა

ოლიმპიური სოფლის შესასვლელთან ნთელი დღის განმავლობაში ხალმხრავლობაა. აქ იყრიან თავს ჩემპიონთა ავტოგრაფების მოყვარულები. ჯერჯერობით ყველაზე პოპულარულია საბჭოთა ტანმოვარჯიშე ქალებისა და ველოსიპედისტების ავტოგრაფები. ტურიშჩევას ერთ ავტოგრაფში, მაგალითად, უძლიერესი ამერიკელი მოცურავეების 4-5 ავტოგრაფს იძლევიან.

სურდო და ზღვის ავადმყოფობა — ან... დისკვალიფიკაცია. ასეთი არჩევანი დგას აფროსანთა ოლიმპიური რეგატის მონაწილეთა წინაშე, მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა პირებმა გამოაქვეყნეს გაფრთხილება დოპინგის შესახებ. გუნდის ხელმძღვანელებს აცნობეს, რომ ზღვის ავადმყოფობისა და სურდოს საწინააღმდეგო ყოველი აბი შეიცავს იმ ნივთიერებებს, რაც დოპინგის სიაშია შეტანილი.

თუ კი რომელიმე აფროსანს ზღვის ავადმყოფობა შეუტევს, ოფიციალური პირები ამას ვერ დაუჯერებენ. „გსმენიათ ოდესმე, რომ აფროსანთა ოლიმპიური საიალქნო რბოლების მონაწილეს ზღვის ავადმყოფობა დამართოდეს?" — თქვა ერთმა მათგანმა.

ანტიკური ოლიმპიური თამაშების ჩათვლით მიუნჰენის ოლიმპიადა მსოფლიო სპორტის ისტორიაში რიგით 312-ეა.

## გუშინ

✦ **კიდევ** ერთმა საბჭოთა სპორტსმენმა მოიპოვა ოლიმპიური ოქროს მედალი. ეს გახლავთ იაკობ ჟელეზნიაკი, რომელმაც ყველას აჯობა „გაქცეულ ტახზე" სროლაში. ჟელეზნიაკმა თავისი უმაღლესი ჯილდო მსოფლიო რეკორდით დაიმშვენა. მისი შედეგია 569 ქულა.

ვერცხლის მედალი მოიგო კოლუმბიელმა ჰელმუტ ბელინგროდტმა (565 ქულა), ხოლო ბრინჯაოსი — დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელმა ჯონ კაინოჰმა (562).

✦ **სწრაფსროლი** პისტოლეტით შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა იუზეფ ზაპენდსკიმ (პოლონეთი) — 595 ქულა. მომდევნო საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი ლადისლავ ფაიტა (594) და სსრ კავშირის სპორტსმენი ვიქტორ ტორშინი (593).

მეორე საბჭოთა მსროლელი ი. ბაკალოვი 24-ე ადგილზეა — 583 ქულა.

### გზაჯვარედინზე

ამ ორიოდე კვირის წინ ფინელმა სპორტსმენმა პ. ვასალამ 800 მეტრზე რბენაში ევროპის რეკორდი დაამყარა — 1.44,5. ეს შედეგი სულ რაღაც 0,2 წამით ჩამორჩება მსოფლიოს უმაღლეს მიღწევას.

მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი შედეგისა, ვასალამ შეჯიბრების შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მიუნჰენში იგი 1500 მეტრზე რბენაში იასპარეზებს.

„1.43,0 რომ მეჩვენებინა, მაინც არ შევცვლიდი ჩემს გადაწყვეტილებას. ოლიმპიადისთვის ვემზადებოდი ახალზელანდიელი პ. სნელის პროგრამის მიხედვით, რომელიც შვიდწლიანი წვრთნისოვისაა გათვალისწინებული. სნელმა ტოკიოში ორი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიგო — 800 და 1500 მეტრზე. მეც მეშვიდე წელია რაც ამ გეგმით ვმეცადინეობ — სამ წელიწადს შედარებით ნაკლები, ხოლო ოთხს — დიდი დატვირთვით. ორი კურდღლის დევნა არ ღირს, მით უმეტეს, რომ სნელმა ტოკიომდე რომის ოლიმპიადაში 800 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა, მე კი მედალზე ჯერჯერობით მხოლოდ ვოცნებობ..."

როცა სიტყვა 800 მეტრზე რბენაში რეკორდზე ჩამოვარდა, ვასალამ თქვა: „მე აშკარად მაკლია სისწრაფე. 400 მეტრზე რბენაში 48,5 წამის იმედი მაქვს. სწორედ ამიტომ მიზიდავს გრძელი მანძილები. მიუნჰენის შემდეგ შეიძლება 5000 მეტრზე რბენა დავიწყო. ეს უფრო იოლია, ვიდრე 1500 მეტრზე რბენა. კილომეტრნახევრიან მანძილზე ასპარეზობას რომ ვიწყებ, ერთი აზრი მაქვს აკვიატებული — ტაქტიკა, ტაქტიკა და კიდევ ერთხელ ტაქტიკა. თუ სწორი ტაქტიკით არა ხარ შეიარაღებული, უთუოდ წააგებ. მიუნჰენისთვის 1500 მეტრზე რბენის სხვადასხვა ვარიანტი მაქვს მომზადებული — სწრაფიც და ნელიც. მაგრამ ეს, რომ იტყვიან, ფიზიკური მომზადება გახლავთ. რაც შეეხება მორალურს, სამწუხაროდ, იგი დამოკიდებულია სრულიად უმნიშვნელო ნიუანსებზეც

ლაპარაკობს ...

სიგრენისა და ...
აქციები აიწი...

მამის თილის...

კი და ამიტომ ყველ...
რომ ვთქვათ, ძნელი ...
კობ, წინ სამად გადა...

სიგრენი ...

მძლეოსნობის ...
ჰენის ოლიმპ...
ამასთან დაკავშირე...
იზაქსონის შანსები...
სპორტსმენს აქვს ...
ლება.

როცა საერთაშო...
მძლვანელობდა იმ...
დიდად არ განსხვა...

ოლიმპიური ...

სამი წლის სი...
მკვიდრია. სა...
რობით არც ერთმ...
ზე მხტომელის ი...
ზეზი იძულებით...
საქმე ის არის, ...
რავისთან დატოვა...

# მიუნხენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშები

## გივი ონაშვილის ბრინჯაო

მხოლოდ ოფიციალური შედეგები...

### 31 აგვისტო

**ძიუდო. მძიმე წონა (93 კგ-ს ზევით).**

1. ვილემ რიუსკა (ჰოლანდია), 2. კლაუს გლანი (გფრ), 3. გივი ონაშვილი (სსრ კავშირი) და მასაკი ნასიმურა (იაპონია).

**მძლეოსნობა. 20 კილომეტრზე სპორტული სიარული.**

1. პეტერ ფრენკელი (გდრ) — 1:26.42,6; 2. ვლადიმერ გოლუბნიჩი (სსრ კავშირი) — 1:26.55,2; 3. ჰანს რაიმანი (გდრ) — 1:27.16,6... 5. ნიკოლოზ სმაგა (სსრ კავშირი) — 1:28.16,6.

**სიგრძეზე ხტომა. ქალები.**

1. ჰაიდი-მარი როზენდალი (გფრ) — 678 სმ; 2. დიანა იორგოვა (ბულგარეთი) — 677; 3. ევა შურანოვა (ჩეხოსლოვაკია) — 667.

**ცურვა. 100 მ ბატერფლაით. ვაჟები.**

1. მარკ სპიტცი (აშშ) — 54,27 (მსოფლიო რეკორდი), 2. ბრუკ რობერტსონი (კანადა) — 55,56; 3. ჯერი ჰეიდენრაიხი (აშშ) — 55,74.

**4×200 მეტრზე ესტაფეტა თავისუფალი სტილით. ვაჟები.**

1. აშშ (ჯონ კინსელა, ფრედერიკ ტაილერი, სტივენ გენტერი, მარკ სპიტცი) — 7.35,78 (მსოფლიო რეკორდი); 2. გფრ (ჰანს ფასნახტი, გერჰარდ შილერი, ფოლკერტ მაიუვი, ჰანს გენტი) — 7.41,69 (ევროპის რეკორდი); 3. სსრ კავშირი (იგორ გრივენიკოვი, ვიქტორ მაზანოვი, გიორგი კულიკოვი, ვლადიმერ ბურე) — 7.45,76 (სსრ კავშირის რეკორდი).

**ცურვა. 400 მ კომპლექსური. ქალები.**

1. გეილ ნილი (ავსტრალია) — 5.02,97 (მსოფლიო რეკორდი); 2. ლესლი კლიფი (კანადა) — 5.03,57; 3. ნოველა კალიგარისი (იტალია) — 5.03,99... 8. ნ. პეტროვა (სსრ კავშირი) — 5.15,68.

**ველოსპორტი. ტრეკი. 1000 მეტრზე გიტი.**

1. ნილს ფრედბორგი (დანია) — 1.06,44; 2. დანიელ კლარკი (ავსტრალია) — 1.06,87; 3. იურგენ შიუცე (გდრ) — 1.07,02... 8. ე. რაპი (სსრ კავშირი) — 1.07,73.

**სპორტული ტანვარჯიში. ქალები. მრავალჭიდის ცალკეული სახეობები.**

ბჯენითი ხტომა. 1. კარინ იანცი — 19,525 ქულა; 2. ერიკა ცუჰოლდი (ორივე — გდრ) — 19,275; 3. ლიუდმილა ტურიშჩევა — 19,250; 4. ლ. ბურდა — 19,225; 5. ო. კორბუტი — 19,175, 6. თ. ლაზაკოვიჩი (ყველა — სსრ კავშირი) — 19,050.

ორძელი. 1. იანცი — 19,675; 2. ოლგა კორბუტი და ცუჰოლდი — 19,450 თითოეულს; 4. ტურიშჩევა — 19,425.

ძელი. 1. კორბუტი — 19,400; 2. თამარ ლაზაკოვიჩი — 19,375, 3. იანცი — 18,975... 5. ტურიშჩევა — 18,800.

თავისუფალი ვარჯიში. 1. კორბუტი — 19,575; 2. ტურიშჩევა — 19,550; 3. ლაზაკოვიჩი — 19,450... 5. ბურდა — 19,100.

**ფარიკაობა. ხმალი.**

1. ვიქტორ სიდიაკი (სსრ კავშირი), 2. პეტერ მაროტი (უნგრეთი), 3. ვლადიმერ ნაზლიმოვი (სსრ კავშირი).

**ძალოსნობა. ქვესაშუალო წონა (75 კგ).**

1. იორდან ბიკოვი (ბულგარეთი) — 485,0 კგ (160+140+185) — მსოფლიო რეკორდი; 2. მოჰამედ ტრაბულსი (ლიბანი) — 472,5 (160+140+172,5); 3. ანსელმო სილვინო (იტალია) — 470 (155+140+175).

საბჭოთა ათლეტმა ვ. კანივინმა ატაცში ნული მიიღო და შეჯიბრებას გამოეთიშა.

## „დედოფალი" სარბიელზე გამობრწყინდა

München 1972

31 აგვისტოს თავის ოლიმპიურ რეზიდენციაში, მიუნხენის XX საზაფხულო თამაშების მთავარ სტადიონზე, გამობრწყინდა „სპორტის დედოფალი" — მძლეოსნობა. მისი პირველი ლაურეატი აღმოჩნდა სპორტული სიარულის ოსტატი, გდრ-ის წარმომადგენელი პეტერ ფრენკელი. იგი ტაშის თანხლებით გამოვიდა სტადიონის მეწამულ ბილიკზე და ფინიშის ზონრისკენ გაიჭრა. თუმცა ამ თამაშებში ფინიშის ზონარი არც არის: საფინიშო ხაზთან ერთმანეთის პირისპირ დგას ორი ელექტრული აპარატი. ფრენკელმა ოლიმპიური რეკორდი დაამყარა 20-კილომეტრიან გზაზე.

წლევანდელ პრიზიორთა მედლები შეიძლება უკანასკნელი იყოს ოლიმპიადების ისტორიაში. საერთაშორისო



პ. ფრენკელი



ჰ.-მ. როზენდალი

ოლიმპიურმა კომიტეტმა გადაწყვიტა სპორტული სიარული თამაშების პროგრამიდან ამოიღოს.

მძლეოსანთა შორის დღეს გათამაშებული ოქროს მედლებიდან მეორე კიოლნელ სტუდენტს ჰაიდი-მარი როზენდალს ხვდა. იგი პირველივე ცდით 678 სმ-ზე გადახტა. მეხუთე ცდაზე მას კინაღამ დაეწია ბულგარელი დ. იორგოვა — 677 სმ. III ადგილზეა ასევე სოციალისტური ქვეყნის სპორტსმენი, ოსტრაველი ლაბორანტი ე. შურანოვა—667 სმ (ბრძოლის მსვლელობაში მან ორჯერ გააუმჯობესა ჩეხოსლოვაკიის რეკორდი).

საბჭოთა კავშირის ერთადერთი წარმომადგენელი ამ სახეობაში, როსტოველი ლ. ილინა 625 სანტიმეტრზე გადახტა და ძირითად შეჯიბრებაში ვერ მოხვდა.

80000-ადგილიანი სტადიონი გაჭედილი იყო. ბევრი ბორზოვის სანახავად მოვიდა. ევროპის რეკორდსმენმა გაამართლა უძლიერესი სპრინტერის რეპუტაცია. მან მოიგო წინასწარი გარბენი, მეოთხედფინალში კი ლამაზად, დამაჯერებლად მოუგო ერთ-ერთ ფავორიტს, ამერიკელ რ. ტეილორს. ბორზოვის შედეგია 10,07. ნახევარფინალში გამოვა მოსკოველი ა. კორნელიუკიც — 10,23. შეჯიბრებას გამოეთიშა ვ. ატამასი — 10,83.

800 მეტრზე რბენაში ნახევარფინალში გავიდა სამივე საბჭოთა მონაწილე: ე. არჟანოვი, ი. ივანოვი (მათ თავიანთი სერიები მოიგეს) და ე. ვოლკოვი. ქალთა შორის ამ დისტანციაზე გარბენში გაიმარჯვა ვილნიუსელმა ნ. საბაიტემ, რომელმაც სსრ კავშირის რეკორდი გაიმეორა — 2.01,5. ნახევარფინალში გავიდა ნ. მორგუნოვაც — 2.02,6. რ. რუუსი ბრძოლას გამოეთიშა (2.11,2).

ერთ-ერთ გარბენში ოლიმპიური რეკორდი დაამყარა ბულგარელმა სვეტა ზლატევამ — 1.58,9.

400 მეტრზე თარჯრბენის ნახევარფინალში სამივე საბჭოთა მონაწილე გავიდა: ე. გავრილენკო (დღის საუკეთესო შედეგით — 49,7), ი. ზორინი და ვ. სავჩენკო.

მიუნხენი.

## ოლიმპიური მოზაიკა

**ო**ლიმპიური ტურნირის სენსაციად მიიჩნევენ ავსტრალიელ მოკრივე ტელბოტს, რომელმაც მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა შეჯიბრების ფავორიტი — მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონი, ვენესუელელი როდრიგესი.

ოკეანეთის ბოლო თამაშებში გამარჯვებულმა, 18 წლის ტელბოტმა 26 ბრძოლიდან 18 ნოკაუტით მოიგო.

**ა**მერიკულმა კომპანიამ „ეი-ბი-სიმ" ოლიმპიური თამაშების გადაღების მონოპოლიური უფლება მოიპოვა და მიუნხენში თავისი 367 წარმომადგენელი გაგზავნა. 100 კილომეტრზე გუნდური საგზატკეცილო ველორბოლის გადაღებისას ამ კომპანიის კინოოპერატორებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. რა არ გადაიღეს! ფირზე აღბეჭდეს ბელგიის გუნდის სპურტი 38-ე კილომეტრზე, მსხვილი პლანით გადაიღეს ჰოლანდიელი ველოსიპედისტის კიესის სახე იმ მომენტში, როცა მას ფეხი გაენასკვა.... გამოცდილმა კინოოპერატორებმა საბჭოთა სპორტსმენები არ გადაიღეს რბოლის დროს, მათ კი, როგორც ცნობილია, ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვეს.

**ო**ლიმპიადის პრესცენტრს ემსახურება 60 ადმინისტრაციული მუშაკი, 14 თარჯიმანი სპეციალურად პრეს-კონფერენციებისთვის, 180 ქალიშვილი, რომლებიც პრესდელეგაციებთან მუშაობენ, 300 შიკრიკი.

როგორია ტექნიკური სამსახურის არსენალი? პრესცენტრის განკარგულებაშია ორი საავარიო ელექტროგენერატორი, 320 ტელეფონის ჯიხური და 16 ტელეფონი-ავტომატი, ფოტოტელეგრაფის 34 არხი, 70 ტელეტაიპი.

აქედან ყოველდღე ეწყობა „ადგილობრივი" მნიშვნელობის 650 ათასი სატელეფონო საუბარი, 111 ათასი — მიუნხენსა და გფრ-ის სხვა ქალაქებს შორის და 8 ათასი — საზღვარგარეთ. ამას გარდა, შეჯიბრებების ადგილებში დადგმულია კიდევ 600 ტელეფონი. ცენტრის ორ სამუშაო დარბაზში, სადაც ერთდროულად 350 ჟურნალისტს შეუძლია მუშაობა, მათს განკარგულებაშია საბეჭდი მანქანები 63 შრიფტით, 32 ფოტოლაბორატორია. ჟურნალისტებისთვის გამოყოფილია 60 დიდი და 80 პატარა ავტობუსი, 86 მსუბუქი მანქანა, 163 ტექნიკური მომსახურების მანქანა და 40 მოტოციკლი შიკრიკებისთვის.

პრეს-ცენტრში მუშაობს 2700 ტექნიკური მოსამსახურე და აკრედიტებულია 4 ათასზე მეტი კორესპონდენტი. გამოთვლილია, რომ ჟურნალისტების ამ არმიას დასჭირდება 40 მილიონი ფურცელი.

**ო**ლიმპიადაზე მოხდა სკანდალი, რომელიც დაკავშირებულია ამერიკელი მოცურავეების გუნდის ვარსკვლავის მარკ სპიტცის სახელთან. ოქროს მედლით მისი დაჯილდოების ცერემონიის დროს, რასაც, ბუნებრივია, ტელევიზიითაც გადასცემდნენ, სპიტცმა მაღლა ასწია სპორტული ფეხსაცმელები დასავლეთგერმანული ფირმის „ადიდასის" რეკლამით. სპიტცის წინააღმდეგ აღძრულია ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ იგი ბოროტად იყენებს თავის სახელს სპორტული ფეხსაცმლის ფაბრიკის სარეკლამო მიზნებისათვის სასარგებლოდ.

## საქმეში მოყვარულები

**ფ**ეხბურთის მოყვარულები დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალს ტელევიზიით ოლიმპიური ტურნირის მატჩის ტრანსლაციას: იმ დღეს ხომ უნგრეთისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს. ამ შეხვედრისადმი ინტერესს ისიც ადასტურებს, რომ სტადიონზე 60 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი.

თამაში მართლაც უაღრესად ტემპიანი და მიმზიდველი გამოდგა. უკვე მე-4 წუთზე უნგრელმა ა. დუნაიმ კარგად გამოიყენა მეტოქის კარის ესწვრივ მარჯვნიდან ჩამოწოდებული ბურთი და ანგარიში გახსნა.

შესვენების შემდეგ ბრაზილიელებმა ჯერ თანაფარდობა აღადგინეს (სიმეაო), მერე კი დაწინაურდნენ კიდეც (კოსტა).

რამდენიმე გამოუყენებელი მომენტის შემდეგ უნგრელებმა მატჩის დამთავრებამდე 6 წუთით ადრე მიზანს მიაღწიეს: მცველმა იუხასმა დაახლოებით 25 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

გუშინწინ უნგრელებმა ანგარიშით 2:0 სძლიეს ქვეჯგუფის ლიდერს — დანიის ნაკრებს და ფინალური ჯგუფის საგზური მოიპოვეს. ფინალში გავიდა დანიის გუნდიც, აი, ბრაზილიელები კი, აგრეთვე, ამ ქვეჯგუფის მეოთხე წევრი — ირანის ნაკრები, დასკვნითი ეტაპის მიღმა დარჩნენ.

• • •

**სურათზე:** ბრაზილიელი ხ. კარლოს და სანტოსი (მარჯვნივ) და უნგრელი პ. ვეპი თამაშის დროს.

[illegible]



## საკუთარი ინფორმაცია

სამართლიანი გადაწყვეტილება

36 ათასი ეროვნული კერძი

### ქალები მონრეალისკენ უსვამენ ნიჩბებს

**ს**აერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1976 წლის მონრეალის ოლიმპიადის პროგრამაში ქალთა ნიჩბოსნობა შეიტანონ. ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ტ. კელერმა (შვეიცარია) თქვა, რომ ამჟამად მსოფლიოს 30 ქვეყანაში 40 ათასი ნიჩბოსანი ქალი ვარჯიშობს. ამიტომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილება დროული და სამართლიანია.

### ოლიმპიური სამზარეულოს ქურასთან

**ო**ლიმპიურ სოფელში ყველაზე მეტად დატვირთული კაცი ახლა ალბათ მზარეულთა შეფი ჰანს გობესია. ერთი წუთით წარმოიდგინეთ დიასახლისი, რომელმაც 12 ათასი სტუმრისთვის დღეში სამჯერ უნდა გაშალოს სუფრა, თანაც თავისი კულინარული ნიჭი გამოავლინოს და ამავე დროს 124 ქვეყნის ათასობით სპორტსმენის გემოვნება დააკმაყოფილოს. მართალია, გობესს 10 ათასი თანაშემწე ჰყავს, მაგრამ საქმის ასაწყობად იგი ორ წელიწადს ემზადებოდა.

ოლიმპიური სამზარეულოს განრიგი ერთობ გადატვირთულია. მაგალითად, საუზმე იწყება დილის 5 საათსა და 30 წუთზე და გრძელდება შუადღემდე, სადილი — 11 საათიდან და 30 წუთიდან 18 საათამდე, ვახშამი — 17 საათიდან და 30 წუთიდან ღამის 1 საათამდე.

ფიქრობენ, რომ სამი ოლიმპიური კვირის განმავლობაში დაიხარჯება 54 ტონა ხორცი, 630 ათასი ბოთლი მინერალური წყალი და ლიმონათი, 1 მილიონი კვერცხი, 320 ტონა ხილი, 350 ტონა სხვადასხვა სახის შებოლილი თევზეული და ხორცეული.

ოლიმპიურ მენიუში შეტანილია 36 ათასი ეროვნული კერძი.

ერთი სიტყვით, ოლიმპიური სამზარეულოს ქურასთან ერთობ ცხელა. ცხადია, ცხელა ოლიმპიადის სარბიელზეც...

...წინასწარ გათვალისწინება ერთობ ძნელია. მოკლედ ...ლის და, როცა სტაიერებში გადასვლაზე ვლაპარა... გზაჯვარედინი მესახება".

### ...საქსონი საკუთარი ჭოკებით [?] გამოვლენ

...თაშორისო ფედერაციამ სპორტსმენებს მიუნ... ახალი ჭოკებით ასპარეზობის უფლება მისცა. ...ამერიკელი რობერტ სიგრენისა და შვედი ჩელ ... გაიზარდა. ეს იმიტომ, რომ სწორედ ამ ორ ... ჭოკებით ხტომის ყველაზე დიდი გამოცდი...

...ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება მიიღო, ხელ... ახალი ჭოკები არც ზომით და არც წონით ...ველისგან.

### ...სოფლის [?] ყველაზე ნორჩი მკვიდრი

...ბინადრი ოლიმპიური სოფლის ყველაზე ნორჩი ... რომელ სახეობაში ასპარეზობს? — ჯერჯე... იგი მამის — დასავლეთგერმანელი სიმაღლე... ხტომის ჩემპიონის ქომაგია. რა თქმა უნდა, ამის მი...

...ოგანა უდიდოდ იზრდება და მამამ იგი ... მამას შვილი თილისმად მიაჩნია.

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 სექტემბრისთვის

31 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

ქუთაისის „ტორპედო" ხარკოვში შეხვდა ადგილობრივ „მეტალისტს". ქუთაისელმა ფეხბურთელებმა კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს — 1:0.

სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „სტროიტელი" (აშხაბადი) 2:1, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 1:1, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „ალგა" (ფრუნზე) 3:1; „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „პამირი" (დუშანბე) 1:0 „დინამო" (ლენინგრადი) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:3, „შინიკი" (იაროსლავლი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 3:0, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „ზვეზდა" (პერმი) 1:1.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 27 | 17 | 6 | 4 | 47—20 | 40 |
| „ჩერნომორ." | 26 | 15 | 7 | 4 | 50—24 | 37 |
| „შახტ." (დ.) | 26 | 11 | 11 | 4 | 34—13 | 33 |
| „შინიკი" | 26 | 13 | 7 | 6 | 30—19 | 33 |
| „ზვეზდა" | 27 | 12 | 9 | 6 | 32—20 | 33 |
| „ტორპედო" | 26 | 14 | 4 | 8 | 35—19 | 32 |
| „პამირი" | 27 | 10 | 9 | 8 | 33—34 | 29 |
| „კრ. სოვეტ." | 26 | 6 | 15 | 5 | 26—25 | 27 |
| „სპარტაკი" | 25 | 9 | 8 | 8 | 28—28 | 26 |
| „ალგა" | 27 | 7 | 11 | 9 | 28—24 | 25 |
| „შახტ." (ყ.) | 27 | 7 | 10 | 10 | 28—37 | 24 |
| „ნისტრუ" | 26 | 7 | 9 | 10 | 27—28 | 23 |
| „მეტალისტ." | 26 | 7 | 9 | 10 | 24—28 | 23 |
| „მეტალურ". | 26 | 8 | 6 | 12 | 32—34 | 22 |
| „ავტომობ". | 26 | 6 | 10 | 10 | 20—30 | 22 |
| „ტექსტილ". | 25 | 7 | 8 | 10 | 24—36 | 22 |
| „სტროიტ." | 27 | 7 | 8 | 12 | 25—42 | 22 |
| „დინამო" | 26 | 5 | 9 | 12 | 18—34 | 19 |
| „კრივბასი" | 26 | 5 | 8 | 13 | 32—48 | 18 |
| „ურალმაში" | 26 | 3 | 8 | 15 | 19—43 | 14 |

### II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 2 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 25 | 15 | 7 | 3 | 41—11 | 37 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 24 | 13 | 9 | 2 | 42—18 | 35 |
| „დინამო" (ბათუმი) | 25 | 12 | 9 | 4 | 41—26 | 33 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 25 | 15 | 3 | 7 | 35—27 | 33 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 24 | 11 | 7 | 6 | 34—21 | 29 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდ.) | 25 | 12 | 5 | 8 | 29—23 | 29 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 25 | 10 | 8 | 7 | 36—25 | 28 |
| „დილა" (გორი) | 26 | 9 | 9 | 8 | 26—24 | 27 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 26 | 8 | 10 | 8 | 25—31 | 26 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 25 | 10 | 5 | 10 | 22—20 | 25 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 25 | 10 | 5 | 10 | 32—34 | 25 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 25 | 8 | 7 | 10 | 26—30 | 23 |
| „დინამო" (სოხუმი) | 24 | 7 | 8 | 9 | 26—33 | 22 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 25 | 6 | 9 | 10 | 24—32 | 21 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 24 | 7 | 6 | 11 | 27—29 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 25 | 7 | 5 | 13 | 27—39 | 19 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 26 | 4 | 8 | 14 | 20—37 | 16 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 26 | 2 | 11 | 13 | 20—36 | 15 |
| „ტრ. რეზერვები" (კურსკი) | 26 | 5 | 3 | 18 | 22—59 | 13 |

## ჩვენს გუნდს ველარავინ დაეწევა

კამენსკ-შახტინსკი, 31 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა, ზაპოროჟიელ ფეხბურთელებთან დარჩენილი მატჩის მიუხედავად, ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ჯგუფში მონაწილეობის უფლება მოიპოვა: IV ტურში ანგარიშით 3:1 დაამარცხა ერევნის „არარატი" და 8 ქულით (8-დან) მიუღწეველი გახდა მეტოქეთათვის.

◆ ვანკუვერი, 1 სექტემბერი. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა კანადის ამ ქალაქში გამართული მატჩით დაამთავრა ტურნე ჩრდილოეთ ამერიკაში. მოსკოველები ვანკუვერში ბრიტანეთის კოლუმბიის ნაკრებ გუნდს შეხვდნენ. ორივე კართან შექმნილი მწვავე მომენტების მიუხედავად, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა. შესვენების შემდეგ სტუმრებმა ტემპს უმატეს, ინიციატივა იგდეს ხელთ და მათმა თავდამსხმელმა მ. გერშკოვიჩმა ორი ბურთი გაიტანა. გაიმარჯვა „დინამომ" — 2:0.





## სოხუმის საჭადრაკო...

სოხუმში მიიწურა სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის XIV საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობს გდრ-ის, გფრ-ის, კანადის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჰოლანდიისა და სსრ კავშირის 16 მოჭადრაკე.

10 ტურის შემდეგ ბევრი პარტია გადადებულია, მაგრამ ლიდერები მაინც ცნობილი არიან: მ. მუხინი (ალმა-ათა) — 5,5 ქულა და 3 გადადებული პარტია, მ. ტალი (რიგა) — 5,5 (2), ა. ბელიავსკი (ლვოვი) — 5,5 (1), მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი) — 4,5 (3), გ. სავონი (ხარკოვი), რ. ჰიუბნერი (გფრ) — 4,5-4,5 (2-2).

განვლილი ტურების შეხვედრებიდან აღსანიშნავია მუხინის გამარჯვება ჰიუბნერთან, ტალისა კი დ. სათლზთან (კანადა) და ბელიავსკისთან.

* * *

სურათზე: ოსტატ ნ. კიროვისა (ბულგარეთი) და საერთაშორისო ოსტატ ლ. ესპიგის (გდრ) შეხვედრა.

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქდესი).




## თქვენ როგორ ამოხსენით?

„ლელოს" 20 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ლ. ივანოვის (მოსკოვი) ეტიუდი ასე იხსნება: 1. მh6+ მფh4 2. მf5+ ლ:f5 3. მd4 ლf6 4. მf3+ მფg4 5. კe6+ ლ:e6 6. h3+ მფ:h3 7. მg5+ მოგებით. ან 6. ... მფf5 7. მd4+ მფf6 8. მ:e6 მფ:e6 9. მფf3 მოგებით.

ეტიუდი სწორად ამოხსნეს: ხ. ახტიანმა (დმანისი), გ. ნიშნიანიძემ (სოფ. ახალი თერჯოლა, თერჯოლის რაიონი), რ. გურულმა (ზესტაფონი), ა. ჯიმშიტაშვილმა (თბილისი), რ. ქალაგანიძემ (გეგეჭკორი), გ. ჭუმბურიძემ (სოფ. ზედა სიმონეთი, თერჯოლის რაიონი).

## საქართველოს გუნდი ჩემპიონია

სოხუმში დამთავრდა სსრ კავშირის პირად-გუნდური ჩემპიონატი წყალქვეშ სპორტულ სროლაში. ოთხი დღის განმავლობაში ასპარეზობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და 9 მოკავშირე რესპუბლიკის სპორტსმენები, რომლებიც ერთმანეთს ეცილებოდნენ გარდამავალ თასსა და ჩემპიონობას ცალკეულ სახეობებში. მათთან ერთად უკონკურსოდ გამოდიოდა აფხაზეთის გუნდიც.

ჩემპიონატის პროგრამაში შედიოდა სამი ვარჯიში: პისტოლეტით სროლა სასროლეთში, თოფით სროლა უძრავ სამიზნეებზე წყალქვეშ და მოძრავ სამიზნეებზე — თევზებზე სროლა ზღვაში.

პირველობის გახსნის დღეს სპორტსმენებმა წყალქვეშ უმოძრაო სამიზნეებზე სროლა დაიწყეს და უკვე აქ გამოიჩინეს თავი საქართველოს სპორტსმენებმა, რომელთა შემადგენლობაში იყვნენ სოხუმის წარმომადგენლები — სპორტის ოსტატი ბ. ნოვომლინოვი, პირველთანრიგოსნები ვ. ორიოლკინი და ი. კუშაკოვიჩი, აგრეთვე, პირად ჩათვლაში მოასპარეზე პირველთანრიგოსანი ა. კოროლიოვი. ამ ვარჯიშის შემდეგ დაწინაურდნენ რსფსრ-სა და უკრაინის გუნდები, ხოლო საქართველოს წყალქვეშელებმა III ადგილი დაიკავეს.

მაგრამ ეს იყო მხოლოდ დასაწყისი. მეორე დღეს თევზებზე სროლაში საქართველოს გუნდმა საუკეთესო შედეგები აჩვენა. შეჯიბრება ჩატარდა სოფ. კინდღში (ოჩამჩირის რაიონი). კოროლიოვმა ყველაზე მეტი თევზი „მოინადირა", რისთვისაც 400 ქულა მიიღო. ამით იგი დაწინაურდა პირად ჩათვლაში და გზა გაიხსნა სსრ კავშირის ჩემპიონობის მოპოვებისკენ. კოროლიოვმა შესანიშნავად იასპარეზა ბოლო დღეს პისტოლეტით სროლაშიც და 8505 ქულით სამჭიდის ჯამში ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.

რსფსრ-ს წარმომადგენელი ვ. აჩმე 7780 ქულით ვერცხლის პრიზიორი გახდა, ხოლო ბრინჯაოს მედალი მიიღო საქართველოს ნაკრების წევრმა ორიოლკინმა. წარმატებას მიაღწია კუშაკოვიჩმაც, რომელმაც საერთო V ადგილი დაიკავა.

საბოლოოდ, საქართველოს საუკეთესოდ მომზადებულმა კოლექტივმა გაიმარჯვა გუნდურ ჩათვლაში, დააგროვა 19793 ქულა — 2605 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ რსფსრ-ს კოლექტივს. III ადგილზე ლენინგრადელი სპორტსმენები აღმოჩნდნენ.

საკავშირო პირველობის გარდამავალმა თასმა ლენინგრადიდან საქართველოში გადმოინაცვლა. ჩვენს სპორტსმენებს გადაეცათ ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის I ხარისხის დიპლომები, ვიმპელები და ოქროს მედლები. სამჭიდში მოპოვებული შესანიშნავი წარმატებისთვის კოროლიოვი აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედლით დაჯილდოვდა.

ვ. სემიონოვი,
საკავშირო კატეგორიის საპატიო მსაჯი.
(ჩვენი კორ.).
სოხუმი.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის ჩემპიონი — საქართველოს ნაკრები; სპორტსმენები ეს-ეს არის თავიანთი ნადავლით წყლიდან ამოვიდნენ და მსაჯები წონიან თევზებს.

ავტორის ფოტოები.

◆ ახმეტა

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივები დუშეთის რაიონის ცხრა ორგანიზაციამ ჩააბარა. სარბიელზე პირველნი გამოვიდნენ გ. იმედაშვილი (ახმეტის სატრანსპორტო საწარმოს დირექტორი), კ. გოგაური, შ. მსუქნიშვილი (რაისაავადმყოფოს ექიმები), ტ. მეშველიანი, ე. ჯიხოშვილი, ნ. თამაზაშვილი, ო. ჩხეტიანი და ლ. ორბეთიშვილი (საკონსერვო ქარხნის მუშაკები). ნორმატივების ჩაბარება გრძელდება.

შ. ნათელაური.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

### თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. საქართველოს პირველობა. 2 სექტემბერი. ასკ-ს სტადიონი. ასკ (თბილისი) — „მეშახტე" (ტყიბული). დასაწყისი 17 ს. 30 წთ. 4 სექტემბერი. ვარკეთილის სტადიონი. „ვარკეთილი" (გარდაბანი) — „მეშახტე" (ტყიბული). 17 ს.

### „ლოკომოტივის" სტადიონი

(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

3 სექტემბერი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი" (კიევი)

დასაწყისი 19 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. უ 04599